



ნატალია გინძბურგი

ოჯახური ლექსიკა

დიდგენის
ბიბლიოთეკა

ნატალია გინძბურგი
ოჯახური ლექსიკა

Natalia Ginzburg
LESSICO FAMILIARE

იტალიურიდან თარგმნა მადონა ბოკუჩავამ

Questo libro è stato tradotto grazie a un contributo per la traduzione assegnato dal Ministero degli Affari Esteri e della Cooperazione Internazionale italiano.

წიგნი ითარგმნა იტალიის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

© 1963, 1972, 1986, 1997, 2010 and 2014 Giulio Einaudi editore s.p.a., Torino
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2021
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-613-1

www.diogene.ge

შესავალი

ამ წიგნში ნახსენები ადგილები, ამბები და მოქმედი პირები ნამდვილია. არაფერი გამომიგონია. საკმარისი იყო, მწერლის ძველ ჩვევას აყოლილს, რალაც შემეთხზა, მაშინვე შეთხზულის ნაშლის სურვილი მიჩნდებოდა.

სახელებიც ნამდვილია. სრულიად მიუღებლად ჩავთვალე რამის გამოგონება. არ შემეძლო სახელების შეცვლა, რადგან ისინი რეალური ადამიანებისგან განუყოფელია. ალბათ, ვილაცას არ მოეწონება, კითხვისას თავის სახელსა და გვარს რომ წააწყდება, მაგრამ რა ვუყოთ.

მხოლოდ ის დავწერე, რაც მახსოვდა. ამიტომაც ის, ვინც ამ ნაწარმოებს ქრონიკასავით ნაიკითხავს, უსათუოდ არაერთ უზუსტობას აღმოაჩენს. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი სინამდვილეს ეფუძნება, ვფიქრობ, ის მაინც რომანივით უნდა წავიკითხოთ და იმაზე მეტი არ მოვითხოვოთ, რის მოცემაც რომანს შეუძლია.

რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი რამ მახსოვს, მაგრამ არ დამინერია, მათ შორის, პირადად ჩემზეც.

საკუთარ თავზე ლაპარაკი მაინცდამაინც არ მინდოდა: ეს ხომ ჩემი კი არაა, ჩემი ოჯახის ისტორიაა – მერე რა, რომ არასრული და ხარვეზებიანია. აქვე დავძენ, რომ ბავშვობაშიც და სიყმაწვილეშიც მინდოდა, დამეწერა წიგნი იმ ადამიანებზე, რომლებიც გარს მეხვივნენ. ეს სწორედ ის წიგნია, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან მეხსიერება მყიფე რამაა და წიგნები, რომლებიც რეალობას ასახავს, სხვა არაფერია, თუ არა მკრთალი ანარეკლი და ნამსხვრევები იმისა, რაც გვინახავს ან გვსმენია.

ბავშვობაში თუ მე ან ჩემს და-ძმებს სუფრასთან ჭიქა წაგვექცეოდა ან იატაკზე დანა დაგვივარდებოდა, მაშინვე მამას მჭექაქრუ ხმა გაისმოდა:

– როგორ იქცევით!

თუ პურის ნაჭერს სანებელში ჩავანობდით, მამა ყვირილს იწყებდა:

– თეფშებს ნუ ლოკავთ! ნუ თხუპნიაობთ!

მამასთვის ნათხუპნი იყო თანამედროვე ნახატებიც, რომლებსაც ვერ იტანდა.

– სუფრასთან მოქცევა არ იცით! ხალხში გამოსაჩენები არ ხართ! ინგლისში თქვენნაირ თხუპნიებს თვალის დახამხამებაში გამოყრიან ტაბლდოტიდან, – ბრაზობდა იგი.

ინგლისი მსოფლიო ცივილიზაციის ნიმუშად მიაჩნდა და ძალიან აფასებდა.

სადილობისას მუდამ აძაგებდა ყველას, ვინც კი დღის განმავლობაში შეხვდებოდა. ადამიანებს ძალიან მკაცრად აფასებდა და ყველას სულელს ეძახდა.

– ნამდვილი სულელია, – იტყოდა ხოლმე რომელიმე ახალ ნაცნობზე.

„სულელების“ გარდა, იყვნენ „ველურებიც“. „ველური“ მამაჩემისთვის ნიშნავდა ადამიანს, რომელსაც დაუხვეწავი მანერები ჰქონდა, მოუხერხებელი და მორცხვი იყო, შეუფერებლად ეცვა, მთაში არ დადიოდა და უცხო ენები არ იცოდა.

ყველაფერს, რასაც ჩვენს საქციელში შეუფერებლად მიიჩნევდა, „ველურობას“ ეძახდა.

– ველურებივით ნუ იქცევით! – გვიყვიროდა გაუთავებლად.

„ველურობაში“ ბევრი რამ იგულისხმებოდა: მთაში სალაშქროდ ჩვეულებრივი ფეხსაცმლით წასვლა, მატარებელში თანამგზავრთან ან ქუჩაში გამვლელთან გამოლაპარაკება, ფანჯრიდან მეზობლებთან ჭორაობა, ფეხსაცმლის გახდა სასტუმრო ოთახში და კალორიფერზე ფეხების გათბობა, მთაში ლაშქრობისას ნუნუნე ნყურვილის, დაღლილობის ან ფეხების გადაყვლეფის გამო,

ლაშქრობაში მოხარშული ან ცხიმინი კერძებისა და ხელსახოცის ნაღება.

ლაშქრობისას ნებადართული იყო მხოლოდ განსაზღვრული საკვების – ყველი „ფონტინას“, ჯემის, მსხლისა და მაგრად მოხარშული კვერცხის ნაღება და შეიძლებოდა მხოლოდ ჩაის დაღევა, რომელსაც მამა თვითონ ამზადებდა სპირტქურაზე. მოკლედ გაკრეჭილ ჟღალთმიან თავს კამფორაზე დახრიდა ხოლმე, წარბებს შეჭმუხნიდა და ცეცხლს ქურთუკის კალთებით იცავდა ქარისგან. მთაში ყოფნისას სულ ეს ჟანგისფერი, გაცვეთილი და ჯიბეგახვრეტილი ქურთუკი ეცვა.

დაუშვებელი იყო ლაშქრობისას კონიაკისა და შაქრის ნაღება და თუ ამ რამეებს აღმოაჩენდა, ამბობდა, „ველურების საკვებიაო“. დაუშვებელი იყო შალეში შესვლა სასაუზმოდ. ესეც „ველურობად“ ითვლებოდა. „ველურებს“ ახასიათებდათ ასევე ცხვირსახოცით ან ჩალის ქუდით მზისგან თავის დაფარვა, ნვიმის დროს კაპიუშონის წამოხურვა ან ყელზე შარფის შემოხვევა. დილით, სალაშქროდ მზადებისას, დედა ამ ყველაფერს დიდი მზრუნველობითა და სიფრთხილით ალაგებდა ზურგჩანთაში ჩვენთვის და თავისთვის, მაგრამ თუ მამა მათ აღმოაჩენდა, გაბრაზებული შორს მოისროდა ხოლმე.

ლაშქრობისას გვეცვა ალპინისტის უხეში და ტყვიასავით მძიმე ფეხსაცმელი, შალის გამაშები, შალის ქუდი გვეხურა, მთის სათვალე გვეკეთა და მცხუნვარე მზისგან გაოფლილები შურით ვუცქეროდით „ველურებს“, რომლებიც ჩოგბურთის ფეხსაცმლით ადვილად დაცოცავდნენ კლდეებზე ან შალეში ნაღებს მიირთმევდნენ.

დედა მთაში ლაშქრობას ეძახდა „ემშაკის მოგონილს თავისი ეშმაკუნების გასართობად“ და ყოველთვის ცდილობდა, სახლში დარჩენილიყო – განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე გარეთ სადილობას ეხებოდა, რადგან ჭამის შემდეგ გაზეთის კითხვა და დივანზე თვლემა უყვარდა.

ზაფხულს ყოველთვის მთაში ვატარებდით, სადაც სამი თვით – ივლისიდან სექტემბრის ბოლომდე – სახლს ვქირაობდით. ჩვეულებრივ, სახლი დასახლებული ადგილიდან შორს იყო და მამაჩემი

და ჩემი ძმები, ზურგჩანთამოკიდებულები, ყოველდღე სოფელში დადიოდნენ საყიდლებზე. არანაირი გასართობი არ გვქონდა. სალამოებს შინ ვატარებდით: ჩვენ და დედა მაგიდას ვუსხდებოდით, მამაკი სხვა ოთახში გადიოდა წიგნის წასაკითხად. თუმცა დროდადრო მაინც იხედებოდა ხოლმე იმ ოთახში, სადაც საჭორაოდ და სათამაშოდ ვიყავით შეკრებილი, მოლუშული სახით, ეჭვიანად გვათვალიერებდა და დედას ჩვენს მოსამსახურე ნატალინაზე ებუზღუნებოდა, წიგნები ამირ-დამირაო.

– შენი ძვირფასი ნატალინა სულ გამოშტერდა, – ამბობდა და სულაც არ აწუხებდა, რომ შეიძლებოდა, ნატალინას სამზარეულოში ყველაფერი გაეგონა. თუმცა ის მიჩვეული იყო ფრაზას „ჩერჩეტი ნატალინა“ და სრულებით არ სწყინდა.

ზოგჯერ სალამოობით მამა ლაშქრობებისა და მთამსვლელობისთვის ემზადებოდა. მუხლებზე იდგა და თავის და ჩემი ძმების ფეხსაცმელს ვეშაპის ქონით პოხავდა: ფიქრობდა, რომ ამის გაკეთება მხოლოდ თვითონ შეეძლო. შემდეგ მთელ სახლში რკინის ჟღარუნი ისმოდა: ეძებდა წრიაპებს, ლურსმნებს, წერაყინებს.

– სად არის ჩემი წერაყინი? – ღრიალებდა ის. – ლიღია! ლიღია! სად წაიღეთ ჩემი წერაყინი?

მთაზე ასასვლელად სახლიდან დილის ოთხ საათზე გადიოდა – ხან მარტო, ხან მეგობრებთან, ხანაც ჩემს ძმებთან ერთად. მერე კი ისეთი დაღლილი ბრუნდებოდა, ვერ დაელაპარაკებოდი. მყინვარებიდან არეკლილი მზისგან განითლებული და შესიებული სახით, დამსკდარი და დასისხლიანებული ტუჩებით, კარაქისმაგვარი მალამოთი გათხუპნილი ცხვირით, შეჭმუხნილი წარბებითა და მრისხანე იერით გაზეთში ჩარგავდა ხოლმე თავს და უმნიშვნელო რამეებზეც ცოფდებოდა. ლაშქრობაში ჩემს ძმებს თუ ნაიყოლებდა, დაბრუნებისთანავე „ზანტებად“ და „ველურებად“ ნათლავდა. ამბობდა, ჩემს არც ერთ შვილს არ გადაეცა მემკვიდრეობით მთის სიყვარული. გამონაკლისს მხოლოდ ჩემი უფროსი ძმა ჯინო წარმოადგენდა, რომელიც კარგი ალპინისტი იყო და თავის მეგობართან ერთად მაღალ მწვერვალებს იპყრობდა. ჯინოსა და მის მეგო-

ბარზე მამა ერთდროულად სიამაყითა და შურით ლაპარაკობდა და წუხდა, სიბერე შემეპარა, საკმარისი ილაჯი აღარ მაქვსო.

ჯინო, რომელიც მამაჩემის უსაყვარლესი შვილი იყო, ყველანაირად ამართლებდა მის იმედებს: იტაცებდა ბუნებისმეტყველება, აგროვებდა მწერებს, კრისტალებსა თუ სხვა მინერალებს და ძალიან ბეჯითი იყო. მერე საინჟინრო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. როცა გამოცდის შემდეგ სახლში დაბრუნებული იტყოდა, უმაღლესი ოცდაათი ქულა მივიღეო, მამა ეკითხებოდა, ოცდაათი პლუსით რატომ არ მიიღეო.

და თუ ოცდაათ ქულას პლუსით მიიღებდა, მამა ამბობდა:

– უჰ, ალბათ ადვილი გამოცდა იყო.

მთაში ყოფნისას, მაშინაც კი, როცა არც სალაშქროდ ემზადებოდა და არც კლდეზე საძრომიალოდ, მამაჩემი მანინც ყოველ საღამოს აცხადებდა, ხვალ „სასეირნოდ“ მივიღივარო და სახლიდან გამთენიისას გადიოდა. ზუსტად ისე იცვამდა, როგორც ლაშქრობისას, ოლონდ თოკი, წრიაპები და წერაყინი არ მიჰქონდა. ხშირად მარტო მიდიოდა, რადგან, მისი თქმით, ჩვენ და დედა „ზანტები“ და „ველურები“ ვიყავით. სიარულისას ხელები ზურგზე ჰქონდა შემონწყობილი, სქელლანჩიანი ფეხსაცმელი ეცვა და პირში ჩიბუხგაჩრილი, მძიმედ მიაბიჯებდა. ზოგჯერ ძალით დედასაც თან წაიყოლიებდა ხოლმე.

– ლიდია! ლიდია! – ყვიროდა დილით. – სასეირნოდ წავიდეთ, თორემ ამ მდელოებზე სულ გაზარმაცდი.

ჯოხზე დაყრდნობილი დედა მორჩილად მიჰყვებოდა უკან. წელზე სვიტრი ჰქონდა შემოხვეული და დროდადრო ხუჭუჭა, ჭალარათმიან თავს უკან გადაიქნევდა ხოლმე. თმას მოკლედ იჭრიდა, მიუხედავად იმისა, რომ მამა ვერ იტანდა ასეთ ვარცხნილობას, რომელიც სწორედ იმხანად შემოდიოდა მოდაში. თმას მოკლედ როცა იკრეჭდა, იმ დღეს მამა ისე უყვიროდა, რომ სახლიდან გაქცევა მოგინდებოდა.

– ვირო, ისევ გაიკორტნე თავი?

ასე ხდებოდა ყოველთვის, როცა საპარიკმახეროდან ბრუნდებოდა. „ვირი“ მამას ენაზე ნიშნავდა არა სულელს, არამედ ადა-

მიანს, რომელსაც აღზრდა და გემოვნება აკლდა. ჩვენც „ვირებს“ გვინოდებდა, როცა შევეპასუხებოდით ან საერთოდ არაფერს არ ვპასუხობდით.

– ფრანჩესს ბაძავ! – ეუბნებოდა მამა, როცა ხედავდა, რომ თმა ისევ მოკლედ ჰქონდა შეჭრილი. დედას მეგობარი ფრანჩესი მამას ძალიან უყვარდა და აფასებდა, რადგან, ყველაფერთან ერთად, ბავშვობის ძმაკაცისა და თანაკლასელის მეუღლეც იყო. მაგრამ არ მოსწონდა, მისი გავლენით დედა მოდას რომ აჰყოლოდა და მოკლედ გაკრეჭილი დადიოდა. ფრანჩესი ხშირად მიემგზავრებოდა ხოლმე პარიზში, სადაც მისი ნათესავები ცხოვრობდნენ. ზამთარში უკან რომ ბრუნდებოდა, ამბობდა:

– პარიზში თმას მოკლედ იჭრიან. პარიზში სპორტული სტილია მოდაში.

– პარიზში სპორტული სტილია მოდაში, – იმეორებდნენ ჩემი და და დედაჩემი მთელი ზამთარი და ფრანჩესს ბაძავდნენ, რომელიც „რ“-ს ფრანგულ ყაიდაზე წარმოთქვამდა. ორივემ კაბები დაიმოკლა. დედამ თმა მოკლედ გაიკრიჭა. ჩემმა დამ კი არა, იმიტომ რომ ულამაზესი გრძელი ქერა თმა ჰქონდა და თან მამასიც ძალიან ეშინოდა.

ჩვეულებრივ, მთაში ჩვენთან ერთად ბებიაც მოდიოდა – მამაჩემის დედა, მაგრამ ცალკე ცხოვრობდა, სოფლის სასტუმროში.

როცა მის სანახავად მივდიოდით, სასტუმროს სკვერში იჯდა, დიდი ქოლგის ქვეშ. პატარა ქალი იყო, პანანინა ფეხებზე დაბალყელიანი და ლილეზიანი შავი ფეხსაცმელი ეცვა. ძალიან ამაყობდა თავისი პატარა ფეხებით, კაბის ქვემოდან რომ მოუჩანდა. ამაყობდა თოვლივით თეთრი ხუჭუჭა თმითაც, რომელიც ზემოთ ჰქონდა ავარცხნილი. მამაჩემი ყოველდღე „ცოტას ასეირნებდა“. გზაზე დადიოდნენ, რადგან ბებია მოხუცი იყო და ბილიკებზე სიარული არ შეეძლო, განსაკუთრებით იმ დაბალქუსლიანი ფეხსაცმლით. მამაჩემი წინ მიდიოდა გრძელი ნაბიჯებით, პირში ჩიბუხი ჰქონდა გაჩრილი, ხელები – ზურგზე შემონწყობილი. ბებია უკან მიჰყვებო-

და კაბის შრიალითა და პატარ-პატარა ნაბიჯებით. მას რატომღაც არ უყვარდა ერთი და იმავე გზით სეირნობა.

– ეს, გუშინ რომ გამოვიარეთ, ის გზაა, – წუნუნებდა.

მამაჩემი უკან მიუხედავად პასუხობდა:

– არა, სხვა გზაა.

მაგრამ ბებია ჯიუტად იმეორებდა:

– ეს, გუშინ რომ გამოვიარეთ, ის გზაა. ეს, გუშინ რომ გამოვიარეთ, ის გზაა. ეს სველება ბოლოს მომიღებს, – ეუბნებოდა ცოტა ხნის შემდეგ მამაჩემს, რომელიც წინ მიდიოდა და ყურადღებას არ აქცევდა. – ეს სველება ბოლოს მომიღებს, – იმეორებდა და ყელზე ხელებს იღებდა: ჩვევად ჰქონდა ერთისა და იმავეს ორ-სამჯერ თქმა. – იმ უნამუსო ფანტიკიმ ყავისფერი კაბა შემაკერვინა. მე ლურჯი მინდოდა! ლურჯი მინდოდა! – ამბობდა და გაბრაზებული ქვაფენილს ქოლგას უკაკუნებდა. მამაჩემი ეუბნებოდა, მზის ჩასვლისთვის ეცქირა, მაგრამ ბებია, რომელიც თავის მკერავ ფანტიკიზე იყო გაბრაზებული, ქვაფენილზე ქოლგის კაკუნს განაგრძობდა. ის მთაში მხოლოდ იმიტომ მოდიოდა, რომ ჩვენთან ყოფილიყო, რადგან ბებია ფლორენციაში ცხოვრობდა, ჩვენ კი ტურინში, ასე რომ ერთმანეთს მხოლოდ ზაფხულობით ვხედავდით. მაგრამ მთას ვერ იტანდა და დასასვენებლად ფუჯის ან სალსომაჯორეს კურორტებზე წასვლაზე ოცნებობდა, სადაც ახალგაზრდობაში ხშირად ატარებდა ზაფხულს.

წარსულში ბებია ძალიან მდიდარი იყო, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დროს გაღარიბდა. იტალიის გამარჯვებისა არ სჯეროდა და რადგან ფრანც იოზეფის დიდი იმედი ჰქონდა, გადანყვიტა, ავსტრიაში წაყიდი ფასიანი ქალაქები შეენახა – ასე დაკარგა ქონების დიდი ნაწილი. მამამ, რომელიც ირედენტისტი იყო, ამაოდ სცადა, დაერწმუნებინა, ეს ავსტრიული ფასიანი ქალაქები გაეყიდა. ბებია ხშირად ამოიკვნესებდა ხოლმე – ვაი, ჩემი ცოდვაო. „ცოდვაში“ ის დაკარგულ ქონებას გულისხმობდა; დილაობით სასონარკვეთილი წინ და უკან დადიოდა ოთახში და თითებს იგრეხდა. მაგრამ სინამდვილეში არც ისე ღარიბი იყო. ფლორენციაში

ლამაზი სახლი ჰქონდა, ინდური და ჩინური ავეჯით განწყობილი და თურქული ხალიჩებით მორთული. ბაბუამისი პარენტე კოლექციონერი იყო და ძვირფას ნივთებს აგროვებდა. კედლებზე ეკიდა ბებიას წინაპრების – ბაბუა პარენტესა და მამიდა ვანდეას სურათები. მამიდას ასე იმიტომ ეძახდნენ, რომ რეაქციონერი იყო და მის სალონში კონსერვატორი რეაქციონერები იკრიბებოდნენ. მრავალრიცხოვანი ნათესაობიდან უმრავლესობას, ებრაული ჩვეულების თანახმად, მარგერიტა ან რეჯინა ერქვა. სურათებს შორის მხოლოდ ბებიჩემის მამას ვერ ნახავდით და მასზე ლაპარაკიც აკრძალული იყო: ის ადრე დაქვრივდა, ერთ მშვენიერ დღეს კი თავის უკვე ზრდასრულ ქალიშვილებს ერჩუბა და განუცხადა, რომ მათ ჯიბრზე პირველივე შემხვედრს მოიყვანდა ცოლად. ასეც მოიქცა. ყოველ შემთხვევაში, ოჯახში ასე ჰყვებოდნენ. არ ვიცი, პირველივე შემხვედრ ქალზე დაქორწინდა თუ არა, მაგრამ ახალი მეუღლისგან ქალიშვილიც ეყოლა, რომლის გაცნობა ბებიჩემს არასდროს ნდომებია და მას ზიზლით „მამიკოს გოგოს“ ეძახდა. ეს „მამიკოს გოგო“ ახლა ორმოცდაათ წელს მიღწეული დახვეწილი ქალბატონი იყო. ზოგჯერ დასასვენებლად ყოფნისას შეგვხვდებოდა ხოლმე და მაშინ მამა დედაჩემს ეუბნებოდა:

– დაინახე? დაინახე? „მამიკოს გოგო“ იყო.

– ყველაფერს ბორდელად აქცევთ! ეს სახლი კი არა, ნამდვილი ბორდელია! – იმეორებდა ბებია განუწყვეტლივ. ამით იმაზე მიაწინებდა, რომ ჩვენთვის წმინდა არაფერი იყო. ეს გამონათქვამი ოჯახში შემოგვრჩა და როცა მიცვალებულებზე საუბრისას ან ვინმეს გასვენებაში გაგვეცინებოდა, სულ ამ ფრაზას ვიმეორებდით. ბებია ცხოველებს ვერ იტანდა. თუ დაინახავდა, რომ კატას ვეთამაშებოდით, გიჟდებოდა, რამე ავადმყოფობას აიკიდებთ და მეც გადამდებთო.

– საზიზლარი ცხოველი! – იტყოდა, ფეხებს აბაკუნებდა და ქოლგის წვერს მინაში ასობდა.

ყველაფერი ეზიზღებოდა და ძალიან ეშინოდა ინფექციის, თუმცა სრულიად ჯანმრთელი იყო, ოთხმოც წელს ისე მიაღწია, ექიმი არ

დასჭირვებია, სტომატოლოგიც კი. იმისიც ემინოდა, რომ რომელიმე ჩვენგანი ჯიბრზე პირჯვარს გადასწერდა, რადგან ერთხელ ერთ-ერთი ჩემი ძმა გაეხუმრა, თითქოს მისთვის პირჯვრის გადაწერა უნდოდა. ყოველდღე ლოცვებს კითხულობდა ძველებრაულად, თუმცა არაფერი ესმოდა, რადგან ძველებრაული არ იცოდა. არაებრაელები ისევე ეზიზღებოდა, როგორც კატები. გამონაკლისი მხოლოდ დედა იყო, ერთადერთი არაებრაელი, რომლის მიმართაც თბილი გრძნობები ჰქონდა. დედასაც უყვარდა და ამბობდა, ბებია თავისი ეგოიზმით ჩვილი ბავშვივით უწყინარი და გულუბრყვილოა.

ბებია ახალგაზრდობაში, როგორც თავად ჰყვებოდა, ულამაზესი იყო. თურმე პიზაში სილამაზით მეორე ყოფილა. პირველი კი მისი მეგობარი – ვინმე ვირჯინია დელ ვეკიო იყო. ერთხელ პიზაში ვიღაც ბატონი სეგრე ჩამოსულა, რათა პიზის ყველაზე ლამაზ ქალიშვილზე დაქორწინებულიყო. ვირჯინიას ცოლობაზე უარი უთქვამს. მაშინ ბებიაჩემი გააცნეს, მაგრამ არც ბებია დათანხმებულა. ასე უთქვამს, „ვირჯინიას ნასუფრალი“ რად მიწდაო.

ბოლოს ცოლად გაჰყვა მიკელეს, ბაბუაჩემს, რომელიც, გადმოცემით, თბილი და ალერსიანი ადამიანი ყოფილა. ბებია ახალგაზრდა დაქვრივდა. ერთხელ, როცა ვკითხვით, მეორედ რატომ არ გათხოვდიო, გულიანად იცინა, რასაც ამ ბუზღუნა და წუნუნა მოხუცისგან არ ველოდით:

– აბა, აბა! მთელ ჩემს ქონებას იმას გავაფლანგვინებდი!

ზოგჯერ დედა და ჩემი და-ძმები წუნუნებდნენ, რომ მთის კურორტზე დასვენებისას მოიწყინეს, რადგან იმ მიყრუებულ ადგილას არც გასართობი იყო და არც საზოგადოება. მე, როგორც ყველაზე პატარა, თავს ცოტათი მაინც ვირთობდი, ამიტომ იმ წლებში მოწყენილობას ნაკლებად ვგრძნობდი.

– იმიტომ მოიწყინეთ, რომ სულიერი ცხოვრება არ გაქვთ! – ამბობდა ხოლმე მამა.

ერთ წელიწადს ფინანსურად ძალიან გაგვიჭირდა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ზაფხული ქალაქში უნდა გაგვეტარებინა. მაგრამ

მოულოდნელად პატარა დასახლება სენ-ჟაკ-დ'აიაში შედარებით იაფად ვიქირავეთ სახლი, სადაც დენი არ გვქონდა და ნავთის ლამპებს ვანთებდით. როგორც ჩანს, ძალიან პატარა და მოუწყობელი იყო, რადგან დედა მთელი ზაფხული გაიძახოდა:

– ნამდვილი ბოსელია! წყეული სენ-ჟაკ-დ'აია!

ჩვენი ერთადერთი გასართობი იყო რამდენიმე ტყავისყდიანი ბროშურა: ჟურნალებიდან ამოკრეფილი შარადები, რეზუსები და საშინელებათა ჟანრის რომანები. ეს ბროშურები ჩემმა ძმამ ალბერტომ თავისი მეგობრისგან, ვინმე ფრინკოსგან, ითხოვა და მთელი ზაფხული ამით ვსაზრდობდით. მერე დედა მეზობლად მცხოვრებ ერთ ქალბატონს დაუმეგობრდა. მამა სახლში რომ არ იყო, მაშინ ჭორაობდნენ, რადგან, მამას თქმით, მეზობელთან ჭორაობა „ველურობა“ იყო. მერე აღმოჩნდა, რომ ქალბატონი გირანი ფრანჩესის მეზობლად ცხოვრობდა ტურინში, ამიტომ მამა დადებიითად განენწყო და მის გაცნობასაც დათანხმდა. საქმე ის იყო, რომ მამაჩემი უცხოებს ყოველთვის უნდობლად და ეჭვის თვალით უყურებდა. ეშინოდა, „საეჭვო პიროვნებას“ არ გადაჰყვროდა, მაგრამ როგორც კი აღმოაჩინდა, რომ საერთო ნაცნობი ჰყავდათ, მაშინვე მშვიდდებოდა.

დედა სულ ქალბატონ გირანზე ლაპარაკობდა, კერძები, რომლებსაც სადილად მივირთმევდით, ქალბატონი გირანის რეცეპტით იყო მომზადებული.

– ახალი ამომავალი ვარსკვლავი გვყავს, – ამბობდა მამა ყოველთვის, როცა ქალბატონი გირანის სახელს ახსენებდნენ.

„ახალი ამომავალი ვარსკვლავი“ ან მხოლოდ „ახალი ვარსკვლავი“ – ასე ირონიულად იხსენიებდა მამა ჩვენს ყოველ ახალ გატაცებას.

– არ ვიცი, რას ვიზამდით ფრინკოს ბროშურებისა და ქალბატონი გირანის გარეშე, – დაასკვნა დედამ ზაფხულის ბოლოს.

იმ წელიწადს ქალაქში დაბრუნებისას ერთი რამ შეგვემთხვა. ავტობუსით რამდენიმესაათიანი მგზავრობის შემდეგ, როგორც იქნა, რკინიგზის სადგურს მივალნიეთ. ვაგონში რომ შევედით და ად-

გილები დავიკავეთ, მერეღა შევნიშნეთ, ბარგი ბაქანზე დაგვრჩენოდა. მატარებლის უფროსმა ალამი ასნია და გამოაცხადა:

– გამგზავრების დროა!

– აბა კი! – იღრიალა მამამ ისე, რომ მისი ხმა მთელ ვაგონში გაისმა. მატარებელი იქამდე არ დაძრულა, სანამ ჩვენი უკანასკნელი ჩემოდანი არ ჩატვირთეს.

ქალაქში უხალისოდ შევევლიეთ ნათხოვარ ბროშურებს, რადგან ფრინკომ მათი დაბრუნება მოითხოვა. რაც შეეხება ქალბატონ გირანს, ის აღარასდროს გვინახავს.

– როგორმე ქალბატონი გირანი უნდა მოვიწვიოთ, უხერხულია! – ამბობდა ზოგჯერ მამა.

მაგრამ დედა ადვილად იცვლიდა ხოლმე ნაცნობების მიმართ განწყობას: ადამიანებს ან ყოველდღე ნახულობდა, ან საერთოდ არ უნდოდა მათი ნახვა. მხოლოდ ზრდილობისთვის ნაცნობობის შენარჩუნება არ შეეძლო. სულ ეშინოდა, რომ მობეზრდებოდა ეს ხალხი, ან კიდევ სტუმრად მაშინ მოვიდოდნენ, როცა სასაქონლოდ ნასვლას გადაწყვეტდა.

დედას, ფრანჩისის გარდა, სხვა მეგობრებიც ჰყავდა, ძირითადად მამას მეგობრების ცოლები. ის მეგობრებად ახალგაზრდებს, უფრო სწორად, თავისზე ახალგაზრდებს ირჩევდა: ცოტა ხნის წინ გათხოვილებს და არც ისე შეძლებულებს. მათ რჩევებს აძლევდა, ასწავლიდა, რომელ მკერავთან მისულიყვნენ. როგორც თვითონ ამბობდა, ეზიზღებოდა „ბებრები“, ანუ დაახლოებით თავისი ასაკის ქალები. მათი სტუმრობის საფრთხე თავზარს სცემდა. თუ ნაცნობი ასაკოვანი ქალბატონებიდან რომელიმე ეტყოდა, სანახავად მოსვლას ვაპირებო, პანიკაში ვარდებოდა. „ანუ დღეს ვერ შევძლებ სასაქონლოდ ნასვლას“, – ამბობდა სასონარკვეთილი. ახალგაზრდა მეგობრები, პირიქით, შეეძლო, სასაქონლოდ ან კინოში წაეყვანა. ისინი დამყოლი და გულღია ადამიანები იყვნენ, რომლებსაც უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ დედაჩემთან, ყოველგვარი ცერემონიების გარეშე. პატარა შვილები თუ ჰყავდათ, კიდევ უკეთესი, რადგან დედას ბავშვები ძალიან უყვარდა. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ

ნაშუადღევს ყველა მეგობარი ერთად მოდიოდა მის სანახავად. დედას მეგობრებს მამას ენაზე „დედაკაცები“ ერქვათ. ვახშმობის დრო რომ მოახლოვდებოდა, მამა თავისი კაბინეტიდან ყვიროდა:

– ლიდა! ლიდა! დედაკაცები უკვე წავიდნენ?

ამ დროს ბოლო „დედაკაცი“ დერეფანში მიიპარებოდა და კარში შეშინებული უჩინარდებოდა. დედას ამ ახალგაზრდა მეგობრებს ძალიან ეშინოდათ მამაჩემის. ვახშმობისას მამა დედას ეკითხებოდა:

– აღარ მოგებზრდა დედაკაცებთან ქორაობა? არ დაიღალე ლაქლაქით?

ზოგჯერ საღამოობით მამას მეგობრები მოდიოდნენ სტუმრად, რომლებიც მასავით უნივერსიტეტის პროფესორები, მეცნიერი ბიოლოგები იყვნენ. მათი მოსვლის წინ დედაჩემს ეკითხებოდა:

– სტუმრების გასამასპინძლებლად რამე მოამზადე?

„რამეში“ ჩაი და ნამცხვარი იგულისხმებოდა, სპირტიან სასმელებს ჩვენს სახლში ვერასდროს ნახავდით. თუ დედას სტუმრების გასამასპინძლებლად არაფერი ჰქონდა, მამა ბრაზობდა:

– არაფერი გაგიკეთებია? როგორ შეიძლება, სტუმრებს არ უნდა გავუმასპინძლდეთ? ეს ხომ ველურობაა!

ჩემი მშობლების უახლოეს მეგობრებს შორის იყო ლოპესების ოჯახი, ანუ ფრანჩესი და მისი მეუღლე და ტერნების ოჯახი. ფრანჩესის მეუღლეს ამედეო ერქვა, მაგრამ სტუდენტობის დროიდან მოყოლებული მეტსახელად „ლოპესს“ ეძახდნენ. იმავე წლებში მამაჩემს, თავისი უღალი თმის გამო, „პომი“ შეარქვეს, ანუ შემოკლებით „პომიდორი“. მამა საშინლად ბრაზდებოდა ამ მეტსახელზე. მისთვის ასე მიმართვის უფლება მხოლოდ დედაჩემს ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ლოპესები ერთმანეთში საუბრისას „პომებად“ მოგვიხსენიებდნენ, როგორც ჩვენ ვეძახდით მათ „ლოპესებს“. ამედეოს მეტსახელის წარმომავლობა ზუსტად არავის ახსოვდა, მისი წარმოშობა ბურუსითაა მოცული. ამედეო მსუქანი იყო, ხუჭუჭა, თეთრი, აბრეშუმით თმა ჰქონდა. „რ“-ს, თავისი ცოლის მსგავსად, ფრანგულ ყაიდაზე წარმოთქვამდა. ასევე ლაპარაკობდა მისი

სამივე ვაჟიშვილი, რომლებიც ჩვენი მეგობრები იყვნენ. ლოპესების ოჯახი ჩვენსაზე უფრო დახვეწილი, ელეგანტური და თანამედროვე იყო. უფრო ლამაზი სახლი ჰქონდათ, თავისი ლიფტითა და ტელეფონით, რაც იმ წლებში დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. ფრანჩესი ხშირად დადიოდა პარიზში და იქიდან მოდის სიახლეები ჩამოჰქონდა. ერთ წელიწადს ჩინური თამამი ჩამოიტანა, დრაკონებით მოხატული ყუთი, რომელსაც „მა-ჯონგი“ ერქვა. ყველამ ისწავლა ამ „მა-ჯონგის“ თამაში. ლუჩო, რომელიც ჩემი თანატოლი და ლოპესების ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრი იყო, ამ „მა-ჯონგით“ გაუთავებლად ტრახახობდა, მაგრამ თამაშს არ მასწავლიდა. ამბობდა, რთული სასწავლია და დედა ხელის ხლების უფლებას არ მძლევსო. მახსოვს, შურით ვსკდებოდი, როცა მათ სახლში ამ იდუმალებით მოცულ აკრძალულ ყუთს ვხედავდი.

სალამოს, როცა ჩემი მშობლები ლოპესებისგან შინ ბრუნდებოდნენ, მამა ხოტბას ასხამდა მათ სახლს, ავეჯს, ჩაის, რომელსაც, ფაიფურის ლამაზ ფინჯნებში ჩამოსხმულს, ურიკით მიართმევდნენ ხოლმე სუფრაზე. ამბობდა, ფრანჩესმა „კარგად იცის თავისი საქმეო“, ანუ მან იცოდა, სად ეყიდა ლამაზი ავეჯი და ფინჯნები, როგორ მოეწყო სახლი და როგორ მიერთმია სტუმრებისთვის ჩაი.

ლოპესების ოჯახი ჩვენზე მდიდარი იყო თუ ღარიბი, ზუსტად არავინ იცოდა. დედას თქმით, ჩვენზე გაცილებით მდიდრები იყვნენ, მამა კი, პირიქით, თვლიდა, რომ ჩვენსავით არც მათ ჰქონდათ ბევრი ფული. უბრალოდ ეგ არის, რომ ფრანჩესმა კარგად იცის თავისი საქმე და ჩვენნაირი დაუდევარი არ არისო. საკუთარ თავს ის უკანასკნელ ლატაკად მიიჩნევდა – განსაკუთრებით დილით, ახალგაღვიძებულზე. მაშინვე დედასაც აღვიძებდა და ეუბნებოდა:

– არ ვიცი, ამის მერე როგორ უნდა ვიცხოვროთ. ხომ ხედავ, უძრავი ქონების ფასი დაეცა.

უძრავი ქონების ფასი მუდმივად ეცემოდა და მაღლა არასოდეს იწევდა.

– ეს წყეული უძრავი ქონება! – ამბობდა დედა.

დედა სულ იმას ჩიოდა, რომ მამას ამ საქმისა არაფერი გაეგებოდა: როგორც კი უვარგისი ფასიანი ქალაქი გამოჩნდებოდა, მაშინვე ეცემოდა და ყიდულობდა. დედა ხშირად სთხოვდა, რჩევისთვის ბირჟის მაკლერისთვის მიემართა, მაგრამ მამა ამაზე ბრაზდებოდა, რადგან უნდოდა, როგორც ყოველთვის, თვითონ მოეგვარებინა ყველაფერი.

აი ტერნების ოჯახი კი ნამდვილად მდიდარი იყო. მიუხედავად ამისა, ტერნის მეუღლე მარი ჩვეულებრივი მეოჯახე ქალი გახლდათ – სტუმრად ნაკლებად დადიოდა და მთელ დღეებს ორი შვილის მოვლაში ატარებდა ძიძა ასუნტასთან ერთად, რომელიც თეთრ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. ძიძა ყველაფერში მარის ბაძავდა და ბავშვების თამაშის ყურებისას მასთან ერთად აღტაცებული ჩურჩულებდა ხოლმე:

– სუ! სუ!

ტერნიც სულ ასე იძახდა, როცა შვილებს უყურებდა. მას, ზოგადად, ყველაფერი ალაფრთოვანებდა: აღტაცებული იყო ჩვენი მოსამსახურე ნატალინათი, რომელიც არც ისე ლამაზი იყო და ჩემი დისა და დედაჩემის გამონაცვალნი ძველი კაბები ეცვა; ნებისმიერ ქალზე ამბობდა, „საინტერესო სახე“ აქვს და რომელიღაც ცნობილ სურათს მაგონებსო. რამდენიმე წუთს უმზერდა, მერე მონოკლს იხსნიდა და თოვლივით ქათქათა ცხვირსახოცით წმენდდა. ტერნი ბიოლოგი იყო და მამა მის ნაშრომებს დიდ პატივს სცემდა. მაგრამ მაინც „იმ სულებელ ტერნად“ მოიხსენიებდა, რადგან პოზიორად მიაჩნდა.

– ტერნი ისევე იბრძობა, – იტყოდა ხოლმე მამა მასთან შეხვედრის შემდეგ. მერე კი დასძენდა: – რა საჭიროა ეს პოზიორობა.

სტუმრად მოსული ტერნი ცოტა ხანს ჩვენთან რჩებოდა ბაღში და ლიტერატურაზე გველაპარაკებოდა. განათლებული კაცი იყო, ყველა თანამედროვე რომანი ნაკითხული ჰქონდა. სწორედ მან მოგვიტანა „დაკარგული დროის ძიებაში“. ახლა ვხვდები, რომ ამ თავისი მონოკლითა და სულებლური ჩვევით, ნებისმიერ შემხვედრში ცნობილ სურათებთან მსგავსება აღმოეჩინა, სვანს ბაძავდა. მამა კაბინეტიდან ხმამაღლა ეძახდა, რომ ქსოვილებსა და უჯრედებზე დალაპარაკებოდა.

– ტერნი, მოდით აქ! ნუ სულელობთ!

როცა ტერნი ჩვენი სასადილო ოთახის გაცვეთილი და მტვრია-ნი ფარდებით აღტაცებული ჩურჩულით გვეკითხებოდა, ესენი ახლები ხომ არ არისო, მამა უყვიროდა:

– გეყოფათ მასხარაობა!

მამა აფასებდა და პატივს სცემდა: სოციალიზმს, ინგლისს, ზოლას რომანებს, როკფელერის ფონდს, მთებსა და ვალე-დ’აოსტის ხეობის მეგზურებს. დედა კი – სოციალიზმს, პოლ ვერლენის პოეზიასა და მუსიკას – განსაკუთრებით „ლოენგრინს“, რომლიდანაც ხშირად გვიმღეროდა არიებს ვახშმის შემდეგ.

დედა მილანში დაიბადა, თუმცა მისი წინაპრებიც ტრიესტიდან იყვნენ. როცა გათხოვდა, მამაჩემისგანაც ბევრი ტრიესტული გამონათქვამი შეითვისა. მაგრამ ბავშვობის გახსენებისას მის მეტყველებაში მილანური დიალექტი ჭარბობდა.

ერთხელ, ბავშვობაში, მილანის ქუჩებში სეირნობისას ვილაც მედიდური ბატონი დაუნახავს, რომელიც საპარიკმახეროს ვიტრინის წინ უძრავად იდგა, მანეკენს მიშტერებოდა და თავისთვის ბუტბუტებდა:

– ლამაზია, ლამაზია, მაგრამ ძალიან გრძელი კისერი აქვს.

მისი მოგონებები სწორედ ასეთი, ოდესღაც გაგონილი, აზრს მოკლებული ფრაზებისგან შედგებოდა. თურმე ერთ დღეს პანსიონის მეგობრებთან და მასწავლებლებთან ერთად სეირნობისას ერთი გოგონა მწკრივიდან გამოსულა და გვერდით გამვლელ ძაღლს ჩახუტებია.

– ეს ჩემი ძაღლის დაიკოა, ჩემი ძაღლის დაიკოა! – იმეორებდა და ეფერებოდა.

დედა დიდხანს სწავლობდა პანსიონში. მისი თქმით, იქ დიდი მხიარულება იყო.

სასკოლო წარმოდგენებზე ლექსებს კითხულობდა, მღეროდა და ცეკვავდა; ერთ კომედიაში მაიმუნის როლს ასრულებდა და მღეროდა ოპერეტაში, რომელსაც „თოვლში დაკარგული ფეხსაცმელი“ ერქვა.

კიდევ მან თვითონ დანერა ტექსტი და მუსიკა ოპერისთვის,
რომელიც ასე იწყებოდა:

მე, დონ კარლოსს, გვარად ტადრიდს,
სასწავლებლად ჩასულს მადრიდს,
მომეველინა სილამაზე
ვია ბერძუელინაზე:
ფანჯარაში დავინახე
მასწავლებლის ტურფა სახე.

ასეთი ლექსიც ჰქონდა:

გაგიმარჯოს, უმეცრებავ,
მუცლის გვრემა შენ არ გახლავს,
მხოლოდ ბრიყვი თუ ეცდება,
კონსპექტებზე ტვინის დახლას.
ჩვენ კი მოვყვით ლხინს და გრიალს,
ზედმეტ ფიქრში არც რა ყრია!
მუზავ, აჰყევ ორომტრიალს
და მითხარი, გულს რაც ნებავს:
რომ ბრძენკაცნი ძილსა გვგვრიან,
უვიცნი კი – ჟინს და ვნებას.

გააკეთა მეტასტაზიოს პაროდიაც:

კაცი განგების შეცნობის წადილს
არ ანაცვალეbs სიმშვიდეს ნაცადს –
რამდენი ვიცი, ფეხით რომ დადის
მდიდრული ეტლით მგზავრობის ნაცვლად.

პანსიონში თექვსმეტ წლამდე სწავლობდა. კვირაობით ბიძას-
თან, დედის ძმასთან დადიოდა სტუმრად, რომელსაც მეტსახელად